

სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსებისთვის სტუდენტთა ელექტრონული რეგისტრაციისა და განცხადების შევსების ინსტრუქცია


**განცხადებები მიიღება მნისტრის ბრძანებით
დადგენილ ვადაში მხოლოდ ონლაინ რეჟიმში**

ელექტრონული რეგისტრაციის გვერდზე შესასვლელად ბრაუზერში აკრიფეთ მისამართი: (<http://socreg.mes.gov.ge/>) ან ისარგებლეთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდზე (<http://socreg.mes.gov.ge/>) განთავსებული ბმულით.

1. რეგისტრაცია


1.1 დააჭირეთ ღილაკს: „რეგისტრაცია“

1.2 შეავსეთ ყველა სავალდებულო ველი, გაეცანით დადგენილებას და დაეთანხმეთ რეგისტრაციისათვის აუცილებელ პირობებს



The image shows a web form for registration. At the top, there is a logo of the Ministry of Education and Science of Georgia. Below the logo, the text 'მ. შვეციას რეგისტრაცია' is visible. The form contains several input fields: 'სახელი-გვარი' (Name-Surname), 'სქესი' (Gender), 'დასახ' (Date of Birth), 'ფონ-ფონი' (Phone Number), 'მისამართი' (Address), 'აღმოსვლა' (Email), and 'გაიხსენებთ პაროლს' (Remember Password). There is a 'რეგისტრაცია' button and a 'გადასრულებულია' (Completed) button. At the bottom, there is a disclaimer: 'ამ ვებ-საიტის გამოყენებით ეთანხმებით: რეგისტრაციას, მონაწილეობას და ვადამდებობას, რომ გაიხსენებთ პაროლს და ვადამდებობას.' Below this is another 'რეგისტრაცია' button and a 'მ. შვეციას' link.

1.3 რეგისტრაციის დასრულებისათვის უნდა დადასტურდეს ტელეფონის ნომრის სიზუსტე. შესაბამისად, თქვენ მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე მიიღებთ უნიკალურ კოდს, რომელიც უნდა შეიყვანოთ პორტალზე.



განმცხადებლის მიერ რეგისტრაციის დროს მითითებული საკონტაქტო ტელეფონის ნომრის შეცვლის შემთხვევაში, განმცხადებელი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიაწოდოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

1.4 რეგისტრაციის გავლის შემდგომ, თქვენ მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე მიიღებთ მოკლე ტექსტურ შეტყობინებას - „tqven warmatebiT gaiareT registracia, gTxovT gadaxvideT gancxadebis shevsebase”

რეგისტრაციის გავლა არ ნიშნავს განაცხადის წარდგენას, რეგისტრაციის გავლის შემდეგ, კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, აუცილებელად უნდა შეავსოთ განცხადება

2. განაცხადის შევსება

ელექტრონულ განაცხადს ავსებენ სტუდენტები რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაირიცხნენ საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე.

2.1 დააჭირეთ ღილაკს: „შესვლა“ ;

2.2 თქვენი პირადი ნომრით და პაროლით შედით სისტემაში;



განმცხადებელი, რომლის პირადი ნომერი არ ფიქსირდება რეესტრში, ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, მიმართავს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას.

2.3 დაიწყეთ განცხადების შევსება: მონიშნეთ საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის წელი;

2.4 მონიშნეთ კატეგორია/კატეგორიები, რომელსაც მიეკუთვნებით;

2.5 ატვირთეთ მონიშნული კატეგორიისათვის საჭირო დოკუმენტები;

2.6 დააჭირეთ ღილაკს: „შენახვა“, რის შემდეგაც მითითებულ მობილურ ტელეფონის ნომერზე მიიღებთ მოკლე ტექსტურ შეტყობინებას - „gancxadeba wardgenilia“.

3. განაცხადის რედაქტირება/შესწორება

3.1 კატეგორიის/კატეგორიების დამატება ან განაცხადის რედაქტირება/შესწორება შესაძლებელია განცხადების წარდგენის ვადის დასრულებამდე, ღილაკზე დაჭერით: „shesworeba“.

4. განაცხადის მიღების პროცესები

4.1 განცხადების სრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში, მითითებულ ტელეფონის ნომერზე მიიღებთ მოკლე ტექსტურ შეტყობინებას - „tqveni gancxadeba ganxilvis processhia“;

4.2 ხარვეზის დადგენის შემთხვევაში, განცხადებას შეეცვლება სტატუსი - „ნაწილობრივ დახარვეზებულია“ ან „სრულად დახარვეზებულია“. ამასთან, ხარვეზის შესახებ მიიღებთ მოკლე ტექსტურ შეტყობინებას მითითებულ ტელეფონის ნომერზე, ხოლო ხარვეზის მიზეზისა და გამოსწორების საბოლოო ვადის ნახვა შესაძლებელია პორტალზე

(<http://socreg.mes.gov.ge/>), თქვენი პირადი ნომრითა და პაროლით შესვლის შემდეგ;

4.3 ხარვეზის გამოსწორება შესაძლებელია დადგენილ ვადამდე. გამოსწორებისათვის დააჭირეთ, ღილაკს „ხარვეზის გამოსწორება“ - შეასწორეთ განაცხადი ხარვეზის შესაბამისად და დააჭირეთ ღილაკს: „შენახვა“;

5. შედეგები

დოკუმენტების გადამოწმების შემდეგ დადგინდება, მიეკუთვნებით თუ არა დადგენილებით განსაზღვრულ კატეგორიას.

პროგრამის ფარგლებში მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ, გეცნობებათ თქვენს მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე, მოკლე ტექსტური შეტყობინებით.

5.1 ხარვეზის გამოსწორების საბოლოო ვადის გავლის შემდგომ „სრულად დახარვეზებული“ განაცხადები არ განიხილება კონკურსში. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში, მიიღებთ მოკლე ტექსტურ შეტყობინებას -

„konkursshi ver miigebT monawileobas, xarvezis gamousworeblobis gamo “ (socreg.mes.gov.ge)

5.2 „ნაწილობრივ დახარვეზებული“ განაცხადის მქონე პირები კონკურსში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ იმ კატეგორიებში, სადაც საჭირო დოკუმენტები წარმოდგენილია სრულყოფილად;

5.3 კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებენ შემდეგი განმცხადებლები:

- სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ არააკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- სტუდენტები, რომლებიც ჩაირიცხნენ სახელოვნებო-შემოქმედებით ან სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამაზე და ჩაირიცხულნი არიან მხოლოდ შემოქმედებითი ტურების საფუძველზე.

აღნიშნული პირები მითითებულ ტელეფონის ნომერზე მიიღებენ მოკლე ტექსტურ შეტყობინებას - „tqven ver akmayofilebT socialuri programiT gaTvaliswinebul moTxovnas detaluri informacia ixileT Tqvens personalur gverdze”.

5.4 სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მოპოვების ან ვერ მოპოვების შესახებ ინფორმაცია დაიგზავნება რეგისტრაციისას მითითებულ ტელეფონის ნომრებზე:

ა) თქვენ მოიპოვეთ სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი სოციალური პროგრამის ფარგლებში;

ბ) ვერ მოიპოვეთ სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი სოციალური პროგრამის ფარგლებში.

გისურვებთ წარმატებას!